საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/88

22 ივლისი 2020 წ.

ქ. ბათუმი

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის 2020 წლის ივლისის დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების და რჩევების შესრულების ბსუ-ს სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლისა და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ“ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 21 ივლისის N618415 კორესპონდენციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ“ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების და რჩევების შესრულების ბსუ-ს **სამუშაო გეგმა** (შესასრულებელი სამუშაოების, პასუხისმგებელი პირებისა და შესრულების ვადების მითითებით) დანართი 1-ის შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, რექტორის მოადგილეებმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ყველა მართვის ორგანოს, სტრუქტურულ ერთეულს და დანართში აღნიშნულ პერსონალს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 22 ივლისის № 01-02/88 ბრძანების
დანართი 1.

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის 2020 წლის ივლისის დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების და რჩევების შესრულების ბსუ-ს სამუშაო გეგმა

ავტორიზაციის სტანდარტი - 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა				
6.1 კვლევითი საქმიანობა	შესასრულებელი სამუშაო (აქტივობა)	შესრულებული აქტივობის/სამუშაოს ინდიკატორები/ მტკიცებულებები და შესრულების ვადები	სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები	შენიშვნა
ავტორიზაციის ექსპერტების რეკომენდაციები				
1. ,,საჭიროა, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მოთხოვნები თანდათან გაიზარდოს და მოთხოვნების ცვლილების შედეგები რეგულარულად გაანალიზდეს".	1. 2017-2020 წლებში განხორციელებული სამეცნიერო აქტივობის ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება; 2. 2021 წელს გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა რეკომენდაციების საფუძველზე	1. შესრულებული სამუშაოს ანგარიში - 2020 წლის დეკემბერი; 2. დადგენილების პროექტი გასატარებელი ღონისძიებების შესახებ - 2021 წლის იანვარი	რექტორის მოადგილე (სამეცნიერო მიმართულებით); სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი.	აკადემიური პერსონალისადმი წაყენებული მოთხოვნები, მათ შორის სამეცნიერო აქტივობის შეფასების წესი, განსაზღვრულია ბსუ-ს შემდეგი სამართლებრივი აქტებით: 1. ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებით** 2. ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ' **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დადგენილებით**

				(კოდიფიცირებული აქტები განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, იურიდიულ ცნობარში, ველში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები").
2. ,,შესასრულებელი კვლევის ხასიათის დაგეგმვისას მხედველობაში მისაღებია ფინანსური შეზღუდვები, ინფრასტრუქტურა და მკვლევართა კრიტიკული მასა. 3. ბსუ-მ ბოლომდე უნდა მიიყვანოს კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის პროცედურა, ჯეროვნად შეაფასოს და გააანალიზოს პრიორიტიზაციის შედეგები."	ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების განხორციელების პოლიტიკის" **(შემდეგში ,,კვლევის პოლიტიკა")** შესაბამისად ძირითადი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა, შესაბამისი სამუშაო გეგმის და სამიზნე ნიშნულების დამტკიცება, რომელიც ეფუძნება ფინანსურ, ინფრასტრუქტურულ და ადამიანურ რესურსს.	დადგენილების პროექტის მომზადება 2020 წლის სექტემბერი.	რექტორის მოადგილე (სამეცნიერო მიმართულებით); სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი.	ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/90 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების განხორციელების პოლიტიკა''
4. ,,უნდა გაგრძელდეს მუშაობა კვლევის ხარისხისა და პროდუქტიულობის ასამაღლებლად."	აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული/განხორციელებული სამეცნიერო კვლევის შედეგებიდან (საერთაშორისო ბაზებში გამოქვეყნებული სტატიები, საერთშორირისო კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობა, საერთაშორისო ორგანიზაციებში რეგისტრირებული პატენტები და სხვა საერთაშორისო აქტივობები) გამომდინარე, კვლევის პოლიტიკის შესაბამისად, წამახალისებელი ღონისძიებების (მატერიალური/ფინანსური) გატარება.	აქტივობების ანალიზი; წამახალისებელი ღონისძიებების გატარება; 2020-2021 სასწავლო წელი	რექტორის მოადგილე (სამეცნიერო მიმართულებით); სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი.	2019-2020 სასწავლო წელს შეგროვდა ინფორმაცია, მოხდა მისი გაანალიზება, თუმცა 2020 წლის მარტიდან ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარებიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა კვლევის პოლიტიკით განსაზღვრული წამახალისებელი ღონისძიებები
5. ,,ბსუ-მ მეტი უნდა იმუშაოს კვლევით საქმიანობაში ინდუსტრიის საჭიროებების გათვალისწინებაზე, მოახდინოს ამ ქმედებების დოკუმენტირება და ანალიზი."	კომერციალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის მომზადება და წარმომადგენლობით საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა.	2020 წლის დეკემბერი	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; რექტორის მოადგილე (სამეცნიერო მიმართულებით);	
6. ,,კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირების პროცესი უნდა იყოს ფორმალიზებული და აქტიური."	კვლევის შედეგების სწავლებაში ინტეგრირების მიზნით სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დოკუმენტში ცვლილებების შეტანა და შესაბამისი მექანიზმების ასახვა.	2020 წლის დეკემბერი	რექტორის მოადგილე (სამეცნიერო მიმართულებით); ხარისხის უზრუნველყოფის	

			სამსახურის ხელმძღვანელი	
7. ,,საჭიროა მეტი ფორმალიზაცია სადოქტორო საფეხურზე კვლევის მხარდაჭერის მიმართულებით.“	სადოქტორო საფეხურზე კვლევის მხარდაჭერის მიზნით ცვლილებების განხორციელება პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესის, პერსონალის მივლინების წესის, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის დებულების და სამეცნიერო კვლევების პოლიტიკის დოკუმენტებში	2020 წლის დეკემბერი	რექტორი; ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია				
8. ..შეფასდეს კვლევის ინტერნაციონალიზაცია იმ სფეროებში, რომლებიც საინტერესო იქნება უცხოური უნივერსიტეტებისათვის.“	ბსუ-ს სამეცნიერო კვლევითი პოტენციალის გათვალისწინებით უცხოური პარტნიორების იდენტიფიცირებისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი მექანიზმების დამატება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტში.	2020 წლის დეკემბერი	სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; რექტორის მოადგილე (სამეცნიერო მიმართულებით);	მთავარი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებები და სამიზნე ნიშნულები ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ხარისხს.
9. ,,წახალისდეს დოქტორანტების ჩართულობა საერთაშორისო კოლაბორაციებში.“	**შენიშვნა:** მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაგეგმილ ცვლილებებში გათვალისინებული იქნება დოქტორანტის საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტულობა			
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება				
10. ,,მნიშვნელოვანია, რომ ბსუ-მ უზრუნველყოს, რომ კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანალიზის შედეგების გამოყენების პროცედურა იყოს გამჭვირვალე და ფორმალიზებული.“	**შენიშვნა:** მეოთხე რეკომენდაციის შესაბამისი შესასრულებელი სამუშაო (წამახალისებელი ღონისძიებები) ეფუძნება ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების განხორციელების პოლიტიკას“, სადაც გაწერილია შესაბამისი პროცედურები.			
11. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის შეფასების საფუძველზე დაიგეგმოს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და დაინერგოს შესაბამისი ხელშემწყობი მექანიზმები.	**შენიშვნა:** მერვე რეკომენდაციის შესაბამისი შესასრულებელი სამუშაო მოიცავს უცხოური პარტნიორების იდენტიფიცირებას და თანამშრომლობის ხელშემწყობი მექანიზმების ამოქმედებას.			